გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №4
წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 3 იანვარი

ქ.თბილისი

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ "ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი" - წარმომადგენელი მმართველის მოადგილე – ნიკოლოზ სვენტიცკი **საიდენტიფიკაციო კოდი:** 203827573; **მისამართი:** ქ.თბილისი, რუსთაველი №2; საკონტაქტო ტელეფონი: 93-33-01; E-mail: griboedovi@yahoo.com

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "თი-ბი-სი ბანკი" ბანკის კოდი: 220101830 ანგარიში: №GE70TB0600000120467090;

მიმწოდებელი: შპს "ინფოსერვისი" წარმომადგენელი – გენერალური დირექტორი ზურაბ თეთრაძე; საიდენტიფიკაციო კოდი: 200001229; მისამართი: ქ. თბილისი ცაბაძის ქ.№8 საკონტაქტო ტელეფონი: **(+99532)295-10-36;**

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ბანკი რესპუბლიკა"
კოდი: 220101759 ანგარიში: №6000036080020 37

ერთის მხრივ, **შემსყიდველი** და მეორეს მხრივ, **მიმწოდებელი** ადასტურებენ, რომ საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება, კერძოდ: ნორმატიული აქტების მიწოდება - „კოდექს-ოფისი 2007 R3" მონაცემთა ბაზების განახლება პერიოდულად სამ კომპიუტერზე, რომელიც განხორციელდება ინტერნეტის საშუალებით ელექტრონულად (CPV - 22200000 – გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 720 (შვიდას ოცი) ლარს.

2.2 მომსახურების ფასში და ხელშეკრულების მთლიან ღირებულებაში გათვალიწინებულია მიმწოდებლის ყველა ხარჯი და შესაბამისი გადასახადები.

მუხლი 3. ხარისხი

3.1 მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს, სტანდარტებს. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი არ უნდა იყოს ბაზარზე არსებული მაღალი ხარისხის მომსახურების ხარისხზე ნაკლები; მომსახურების ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარისხის დამადასტურებელ საბუთს ----------;

მუხლი 4. მიწოდების წესი

4.1 მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს **მიმწოდებელი** საკუთარი ხარჯებით ქ.თბილისი **რუსთაველის №2-ში პრიოდულად არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად.**

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, მათ შორის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების ან/და კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტაციის გადაცემა;

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაცემის დროს ჩაატაროს მომსახურების შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს შესაბამის უფლებამოსილ პირს, კერძოდ: ს.ს.ი.პ "ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის" **მენეჯერი – ნატო როინიშვილი, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის მიღება-ჩაბარებას;**

4.4 მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიწოდებულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან **10** დღის განმავლობაში, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია **10** დღის განმავლობაში ან გამოცვალოს წუნდებული პროდუქცია, ან ამავე ვადებში დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება;

4.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით და უხარისხო მიწოდებულ მომსახურებაზე.

4.6 მომსახურების მიწოდება დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთებით (მიღება-ჩაბარების აქტით);

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება მომსახურების გადაცემის, კერძოდ: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ **20** კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე;

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ეროვნული ვალუტა - ლარი.;

5.3 გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება;

მუხლი 6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დააკისროს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი "მომსახურების" ღირებულების **0,2** %-ის ოდენობით, ხოლო მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში – ხელშეკრულების ღირებულების **3%-ის** ოდენობით;

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

7.2 ამ მუხლის ფარგლებში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის

და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს **10** კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავის მოვალეობების სრულ შესრულებამდე, **არაუმეტეს 2012 წლის 31 დეკემბრამდე**.

8.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

8.4 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილ შემთხვევაში;

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.6 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ "ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი"	შპს „ინფოსერვისი"
წარმომადგენელი მმართველის პირველი მოადგილე	წარმომადგენელი დირექტორი
ნიკოლოზ სვენტიცკი	ზურაბ თეთრაძე
ხელმოწერა: ----------	ხელმოწერა: ----------